



მოასირ სკლიარი
კავკას ლეოპარდები

მოასირ სკლიარი
კაფკას ლეოპარდები

Moacyr Scliar
OS LEOPARDOS DE KAFKA

ინგლისურიდან თარგმნა ზაზა ჭილაძემ
გარეკანზე: ალექსანდრ ონიშენკოს „სახურავები“ (ფრაგმენტი)



MINISTÉRIO DA CULTURA
Fundação BIBLIOTECA NACIONAL

Obra Publicada com o apoio do Ministério da Cultura do Brasil/Fundação Biblioteca Nacional

წიგნი გამოცემულია ბრაზილიის კულტურის სამინისტროსა და ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით.

© The Estate of Moacyr Scliar. First publication, 2000
by arrangement with Literarische Agentur Mertin inh. Nicole Witt e.K.,
Frankfurt am Main, Germany
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2018
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-620-9

www.diogene.ge

კაფკას ლეოპარდები

საიდუმლო პატაქი 125/65

პოლიციის უფროსს

თქვენო აღმატებულება,

მოგახსენებთ, რომ 1965 წლის 24-25 ნოემბრის ღამით, პორტუ-ალეგრის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, ჩვენ მიერ დაკავებულ იქნა ეჭვმიტანილი ჟაიმი კანტაროვიჩი, რომლის კოდური სახელია „ნესვა“. ხსენებული ეჭვმიტანილი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობითაა ცნობილი ქალაქის საუნივერსიტეტო წრეებში და ბოლო ორი თვის განმავლობაში ჩვენი აგენტების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე ჟაიმი კანტაროვიჩი (კოდური სახელი „ნესვა“) ფეხით გაემართა თავისი მეგობარი ქალის, ბეატრის გონსალვესის საცხოვრებელი ბინისაკენ. ამავე მისამართზე, სადაც, სავარაუდოდ, საიდუმლო შეკრება იმართებოდა, ცალ-ცალკე თუ წყვილ-წყვილად, ასევე მივიდა ექვსი სხვა ეჭვმიტანილიც, ანუ შეკრებაზე ჯამში რვა ადამიანმა მოიყარა თავი. ღამის თორმეტის ნახევარზე ეჭვმიტანილები ბინიდან გამოვიდნენ და იქვე იქნენ დაკავებული აგენტ რობერვალის მიერ. შვიდმა ეჭვმიტანილმა, მათ შორის ბეატრის გონსალვესმა, გაქცევა მოახერხა, თუმცა ეჭვმიტანილმა ჟაიმი კანტაროვიჩმა (კოდური სახელი „ნესვა“), რომელიც ცალი ფეხით კოჭლია, გაქცევა ვერ შეძლო და ადგილზე იქნა დაკავებული. ამის შემდეგ ის საგანგებო ოპერაციების განყოფილებაში გადაიყვანეს დაკითხვის მიზნით. დაკითხვისას საჭირო გახდა ელექტროშოკის გამოყენება, მაგრამ

ამ პროცედურის ბოლომდე მიყვანა ორი მიზეზის გამო ვერ მოხერხდა: 1) ეჭვმიტანილმა ჟაიმი კანტაროვიჩმა (კოდური სახელი „ნესვა“) რამდენჯერმე დაკარგა გონება და 2) ამ ხნის განმავლობაში ასევე რამდენჯერმე დაეცა ძაბვა. შესაბამისად, დაკითხვა გადაიდო. ეჭვმიტანილი ჟაიმი კანტაროვიჩი (კოდური სახელი „ნესვა“) ჯიუტად იმეორებდა, რომ შეკრების მიზანი მხოლოდ მატეს დაღევა და ლიტერატურაზე საუბარი იყო. ბინაში მართლაც იქნა აღმოჩენილი სასმისი ჯერაც თბილი მატეთი და ასევე რამდენიმე წიგნიც, რაც, ცხადია, სრულებით ვერ აბათილებს ზემოთ ხსენებული შეკრების მავნებლურ და ანტისახელმწიფოებრივ მიზანს. ეჭვმიტანილ ჟაიმი კანტაროვიჩს (კოდური სახელი „ნესვა“) ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა და მისი ჯიბეებიდან ამოღებული იქნა: 1) ცოტაოდენი ქალაღდის ფული და ხურდა; 2) ჭუჭყიანი, დაჭმუჭნული ცხვირსახოცი; 3) ფანქრის ნალევი; 4) ორი აბი ასპირინი; 5) საგულდაგულოდ გაკეცილი ქალაღდი, რომელზეც გერმანულად იყო ნაბეჭდი შემდეგი სიტყვები:

Leoparden im Tempel

Leoparden brechen in den Tempel ein und saufen die Opferkrüge leer; das wiederholt sich immer wieder; schliesslich kann man es vorausschätzen, und es wird ein Teil der Zeremonie.

ამ სიტყვებს გერმანულადვე აწერს ხელს ვილაც *Franz Kafka*.

გაყვითლებული ფურცელი საკმაოდ ძველი ჩანს. თუმცა, ჩვენი ღრმა რწმენით, ეს მაინც თვალთმაქცობა უნდა იყოს – საქმე გვაქვს, სავარაუდოდ, დაშიფრულ შეტყობინებასთან. ვითარებაში საბოლოოდ გასარკვევად, ველოდებით ამ ტექსტის პორტუგალიურად თარგმნას, რაც უკვე მიმდინარეობს კიდევ დაჩქარებული წესით. ხსენებული თარგმანის მიღებისთანავე, უკვე მის საფუძველზე გავაგრძელებთ ეჭვმიტანილი ჟაიმი კანტაროვიჩის (კოდური სახელი „ნესვა“) საქმის ძიებას – ამჯერად საერთაშორისო მავნებლური დაჯგუფებების ქსელთან მისივე კავშირების გამოსავლენად.

1964 წლის შეიარაღებული გადატრიალების შემდეგ ბრაზილიაში მოქმედი საიდუმლო სამსახურების არქივები ბოლოს და ბოლოს გაიხსნა და სამზეოზე არაერთი საბუთი გამოვიდა, მათ შორის, ეს საიდუმლო პატაკიც, რომლის ასლსაც დღემდე ვინახავ.

ჟაიმი კანტაროვიჩი, ვისაც ერთმა რიოელმა მეგობარმა „ნესვა“ შეარქვა, ბიძაშვილად მერგებოდა. ახლო ურთიერთობა არასოდეს მქონია, თუმცა ყოველთვის მომწონდა და დიდ პატივსაც ვცემდი. რაც შეეხება პატაკს, ის იმ უცნაურ ამბავს უკავშირდება, რომელშიც გარეული იყვნენ: თავად ჟაიმი, ბაბუაჩვენის ძმა ბენიამინ კანტაროვიჩი და... ფრანც კაფკა.

მოდით, ჯერ ბენიამინი ვახსენოთ, რომლის ფოტოსაც ზუსტად ახლა ვათვალიერებ ჩემ წინ გადაშლილ საოჯახო ალბომში. სხვათა შორის, იგივე, უკვე გვარიანად გადახუნებული ფოტოა მისი საფლავის ქვაზეც, ებრაელების ძველ სასაფლაოზე. მაშინვე თვალში გეცემა, როგორი შეშინებული იმზირება – ცხოვრებაშიც სულ ასეთი გამომეტყველება ჰქონდა ხოლმე. ყველანი თავუნას ეძახდნენ (ოღონდ ეს ჩვეულებრივი თიკუნი იყო და არა კოდური სახელი): პატარა შავი თვალეები და მარაოსავით ყურები მართლა გაშინაურებულ წრუნუნას ამსგავსებდა; თუმცა არა იმ მხიარულ თავგებს, საბავშვო წიგნებში რომ ხატავენ ხოლმე – პირიქით, მუდამ მონყენილ, მარტოსულ თავგს, სოროდან ცხვირის გამოყოფა რომ ვერ გაუბედავს. ძმისგან განსხვავებით, ვინც დაოჯახდა და ოთხი შვილიც გაზარდა, ბენიამინს ცოლი არასოდეს მოუყვანია. იმასაც კი ვფიქრობ, ალბათ მეგობარი ქალიც არასოდეს ჰყოლია-მეთქი. ქალებთან მისი ურთიერთობაც, შესაძლოა, მხოლოდ ვოლუნტარიოს და პატრიას ქუჩის მეძავებთან სტუმრობებით შემოიფარგლებოდა. ისინი კარგად იცნობდნენ და შელავათიან ფასადაც ემსახურებოდნენ. შეძლებული კაცი ნამდვილად არ ეთქმოდა თავუნას, არადა,

მშვენიერი თერძი იყო, ამ საქმით ბლომად ფულიც შეეძლო ეშოვა, მაგრამ ასე არ მოხდა. ჯერ ერთი, მის ხელობას თანდათან ყავლი გაუვიდა და ხალხმაც ხელით შეკერილ სამოსს ნელ-ნელა სამკერვალო ფაბრიკებში დამზადებული ამჯობინა; რაც დრო გადიოდა, ბაბუაჩემის ძმასაც სულ უფრო და უფრო აკლდებოდა მუშტარი, მათ შორის, პორტუ-ალეგრიში ცნობილი ხალხი: ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, ფეხბურთელები, პოლიციის მაღალჩინოსნები... ეგეც არ იყოს, ასაკის მატებასთან ერთად, თავუნამ ტანსაცმლის კერვასთან დაკავშირებით ახალ-ახალი უცნაური თეორიები აიკვირებოდა. ასე მაგალითად, გაიძახოდა, მარცხენა სახელო მარჯვენაზე მოკლე უნდა იყოსო („ასე ადამიანი უფრო იოლად დახედავს მაჯის საათს“) და პიჯაკებსაც ამ მოსაზრების შესაბამის თარგზე ქრიდა, რაც, თავის მხრივ, აშკარად საგონებელში აგდებდა და უკმაყოფილოს ტოვებდა მისი მუშტრების უმეტესობას.

ის კი საყვედურებს ყურადღებას არ აქცევდა და თავისას აგრძელებდა: დროს თუ ფეხი არ აუნწყვე, ისე წინსვლა და განვითარება გამორიცხულიაო, გაიძახოდა. თავუნას ნათქვამში კაცი უთუოდ გაიგონებდა მისივე მემარცხენე ტროცკისტული წარსულის გამოძახილს. თუმცა მას უკვე დიდი ხნის წინ გაქრობოდა ინტერესი იმგვარი პარტიული პოლიტიკის მიმართ, რაზეც ყოველდღიურად გაჰყვიროდნენ გაზეთების სათაურები. ჩვენში დარჩეს, თითქმის საერთოდ ყველაფერზე ჩაექნია ხელი. დილით თავის მომცრო სამკერვალოში მიდიოდა, მთელ დღეს იქ ატარებდა და მერე ისევ უკან ბრუნდებოდა, თითქმის უავეჯო, წიგნებით გამოვსებულ ბინაში. თავუნას კითხვა უყვარდა და ნებისმიერ საკითხავს ეტანებოდა, მხატვრული ლიტერატურა იქნებოდა თუ ფილოსოფიური თხზულებები. მთელი მისი ცხოვრებაც ამით შემოიფარგლებოდა – კერვითა და კითხვით. არც წვეულებებზე დაიარებოდა, არც კინოში, არც თეატრში, ტელევიზორსაც კი არ უყურებდა. მისი აზრით, იქ სისულელის მეტს ვერაფერს წაანყდებოდი. ცხოვრების ამგვარი წესი ძალიან ამფოთებდა თავუნას ძმასა და რძალს. იმათ უნდოდათ, მეტად გამოსულიყო ხალხში, ვინმე გაეცნო, მეგობრები

გაეჩინა, დაქორწინებულიყო – აბა, ოჯახის შექმნაზე მნიშვნელოვანი რა შეიძლება ყოფილიყო ადამიანისთვის?! მართალია, თავუნა მიმზიდველი გარეგნობით ვერ დაიკვეხნიდა და ასაკის მატებასთან ერთად, ცხოვრების თანამგზავრის პოვნა მისთვის უფრო და უფრო საძნელო საქმე ხდებოდა, მაგრამ ვინ იცის, ვინმე განაფულ მატჩანკალს ეგებ რიგიანი ქალი გაეცნო მისთვის, თუნდაც შინაბერა, რაც, ალბათ, საუკეთესო არჩევანიც კი იქნებოდა. მაგრამ თავუნას დაოჯახების არანაირი სურვილი არ გააჩნდა. უკვე მისჩვეოდა და შეგნებულადაც ებლაუჭებოდა ყოველდღიურ ერთფეროვან ყოფას, რაზეც საკუთარი სურვილით უარის თქმას არ აპირებდა. როცა 65 წელი შეუსრულდა, ჩემმა უფროსმა ძმამ გადაწყვიტა, მისთვის საზეიმო წვეულება გამართა და მოულოდნელად გაეხარებინა. რამდენიმე დღე ვემზადებოდით საამისოდ. აქამდე მახსოვს, რა სავალალოდ დასრულდა ის საღამო. მის ბინაში შევიკრიბეთ ყველანი, თავუნას ძმისშვილები და ძმისშვილიშვილები; თავზე მიკი-მაუსის გამოსახულებიანი ქუდები გვეხურა და ტრანსპარანტიც მზად გვექონდა: „დაბადების დღეს გილოცავთ, თავუნა!“ დაახლოებით საღამოს რვა საათზე კარი გაიღო და მასპინძელიც შემოვიდა. მისმა რეაქციამ მართლა გაგვაოგნა. თავიდან ძალიან შეეშინდა, იფიქრა, მძარცველები არიანო; მერე, როცა მიხვდა, რაც ჩაგვეფიქრებინა, გაცოფდა და ყვირილიც მორთო: რას ბედავთ თქვე მამაძაღლებო, თქვენი თავი ვინ გგონიათ? როგორც იქნა, დავამშვიდეთ, თუმცა ვერაფრით დავიყოლიეთ, საღამო რესტორანში გაგვეგრძელებინა, როგორც ეს წინასწარ გვექონდა დაგეგმილი. რა მაქვს საზეიმო, ვინ ვაგდივარ და რა გამიკეთებია ამ ცხოვრებაშიო, – ბუზღუნებდა თავუნა.

არადა, ასეთი მოსაწყენი არსებობის მიუხედავად, ცხოვრებაში ერთი განსაკუთრებული თავგადასავალი მაინც გადახდენოდა, რომელიც სიჭაბუკის დროიდან სამუდამოდ ჩარჩენოდა ხსოვნაში და რომლის კვანძიც უცნაურად გაიხსნა მისი ცხოვრების მიწურულს. თავუნა ამ ამბის შესახებ ბევრს მიყვებოდა, უკვე მოხუცთა თავშესაფარში დაბინავებული, სადაც (იმხანად ჯერ მხოლოდ დამ-

წყები ექიმი) მეც ვმუშაობდი და შეძლებისდაგვარად არ ვაკლებდი ზრუნვასა და ყურადღებას. კარგა ხნის წინანდელი ამბავია, მაგრამ ყველაფერი დღემდე მშვენივრად მახსოვს.

კანტაროვიჩების ოჯახი წარმოშობით ბესარაბიიდან იყო – მხარიდან, რომელსაც მუდმივად ეცილებოდა ერთმანეთს რუსეთი და რუმინეთი. ოდესიდან ოთხმოციოდე კილომეტრით დაშორებულ პატარა სოფელ ჩერნოვიცკში ცხოვრობდნენ. ეს ღარიბი ებრაული სოფელი დიდად არაფრით განსხვავდებოდა აღმოსავლეთ ევროპის სხვა მისნაირი დასახლებებისაგან. შეშინებული მოსახლეობა ერთთავად პოგრომებს, საყოველთაო ხოცვა-ჟლეტას მოელოდა გულგახეთქილი. ებრაელები ხომ ნებისმიერი საქვეყნო გასაჭირისას განტევების ვაცებად მოიაზრებოდნენ, მეფის რუსეთს კი იმხანად გასაჭირი მართლა არ აკლდა.

ჩემი დიდი ბაბუაც, ანუ თავუნას მამა, თერძი იყო. ხელობა არ დაენუნებოდა, მაგრამ ოჯახის რჩენა მაინც უჭირდა – რამდენიმე შეძლებული რუსი მუშტარი რომ არა, ვინ იცის, საერთოდ როგორ გაიტანდნენ თავს. ამის მიუხედავად, იმედოვნებდა, ეგებ ჩემმა შვილებმა უფრო სარფიან საქმეს მოკიდონ ხელიო. ასე მაგალითად, დარწმუნებული გახლდათ, რომ ბენიამინისგან საუკეთესო რაბინი დადგებოდა. მამის ამგვარი სურვილი გონივრულ მოსაზრებებს ემყარებოდა – რაბინებს ყველა პატივს სცემდა და მათ, თვით ძნელბედობის ჟამსაც კი, ყოველთვის მოეძევებოდათ სარჩო. ამ სურვილს ისიც უმაგრებდა საფუძველს, რომ თავად ბიჭს კითხვა უყვარდა და ჭკუა-გონებაც არ აკლდა. უბრალოდ, სათანადო სასულიერო განათლებაც უნდა მიეღო და ეგ იქნებოდა.

მაგრამ ბენიამინს რაბინობა არ სურდა. შეიძლება, ოდესლაც თვითონაც ეფიქრა ამაზე, მაგრამ როცა ნახა, რა დაბეჯითებით უბიძგებდა აქეთკენ მამამისი, წამსვე აჯანყდა და შეთავაზებულ გეგმაზე სასტიკი უარი განაცხადა. თავუნა იმთავითვე მემამბოხე გახლდათ, ყველას ებრძოდა და ექიმებოდა: მშობლებს, მეზობლებს, დიდსა თუ პატარას. არავის წინაშე არ იხევდა უკან. ამას ჯვანიც რომ მოსდევდეს, მაშინ რალას იზამდაო, – ამოიხვენეშებდა ხოლმე დედა-

მისი, რომელსაც ვერაფრით მოეხერხებინა შვილის ჭკუაზე მოყვანა. თავუნას მემამბოხეობამ, საბოლოოდ, გამოკვეთილი სამიზნეც იპოვა, მას მერე, რაც გააცნობიერა, რა დაჩაგრულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ებრაელები – თუმცა მარტო ისინი კი არა, მოსახლეობის ბევრი სხვა ჯგუფიც. 1916 წელს რუსეთს შიგნიდან გლეჯდა სოციალური, პოლიტიკური თუ ეთნიკური დაპირისპირებები. ქვეყანაში გამეფებული სილატაკე და ჩაგვრა სრულიად გაუსაძლისი ხდებოდა. გაიძახოდნენ, რევოლუცია მხოლოდ დროის ამბავია, სადაცაა, კომუნისტები ჩაიგდებენ ხელში ძალაუფლებასო. ეს ცნობები ჩერნოვიცკამდე დაგვიანებით კი აღწევდა, მაგრამ მერე სათანადო გამოძახილსაც პოულობდა. სოფლის ახალგაზრდა იდეალისტების ერთმა ჯგუფმა ფარულად შეკრება და მარქსისა და ენგელსის ნაშრომების განხილვა დაიწყო. ჯგუფის მოთავე ყასბის შვილი იოსი გახდა. თავუნა მისი უახლოესი მეგობარი იყო, უფრო მეტიც, ლამის ეთაყვანებოდა იოსის. ეს მაღალი, წარმოსადეგი, გრუზათმიანი, შავად თვალდაკვეცილი ყმანვილკაცი თავუნასთვის ყველაფერში მისაბამ მაგალითად იქცა. სულგანაბული უსმენდა და ხარბად ყლაპავდა იმის ნათქვამ თითოეულ სიტყვას. იოსი კი უკეთეს სამყაროზე ლაპარაკობდა, ისეთზე, სადაც არც სიღარიბე იქნებოდა და არც სიმდიდრე, არც მჩაგვრელები და არც ჩაგრულები. ამ სამყაროში სამართლიანობა და მშვიდობა დაისადგურებდა, აღარავინ აღარავის შეავინროებდა და ებრაელებიც ყველა სხვას გაუთანაბრდებოდნენ. სწორედ იოსიმ აჩუქა თავუნას მეცხრამეტე დაბადების დღეზე იდიშზე თარგმნილი „კომუნისტური მანიფესტი“. რად უნდა ზედმეტი ლაპარაკი იმას, რომ ეს წიგნი ბენიამინისთვის ზუსტად იმადვე იქცა, რასაც თორა წარმოადგენს ღრმად მორწმუნე ებრაელისათვის. ყოველდღიურად კითხულობდა. უკვე შეეძლო ზეპირადაც ეთქვა მთელი მონაკვეთები. ასეც იქცეოდა, თანაც საჯარო თავშეყრის ადგილებში – ბაზარი იქნებოდა თუ სინაგოგა. თავგამოდებით იცავდა იმ აზრს, რომ სოციალური წინსვლის ერთადერთი გზა კლასობრივი ბრძოლაა. სისხლი უნდა დაიღვაროს, რათა ამქვეყნად საყოველთაო სამართლიანობამ გაიმარჯვოსო, გაიძახოდა. მისი ამგვარი თავგამო-

დება ვილაც-ვილაცებს ახალისებდა, ოღონდ არა – მამამისს. ხელმოკლე თერძს რევოლუციის წარმოდგენაც კი ზარავდა. თუ ღმერთი გნამს, ასე ნუ ლაპარაკობ, უანდარმებმა რომ გაიგონ შენი ნათქვამი, გტაცებენ ხელს და ციმბირი უკან დაგრჩებო, ეუბნებოდა შვილს. აი, რიკკას კი, თავუნას დედას – უფრო გაბედულ, ოღონდ თან ყველაფრის მიმართ იჭვენეულად განწყობილ ქალს – ვაჟიშვილის აღტყინება გულთან ახლოს არასოდეს მიუტანია. ენა კი აქვს წაგდებული, ოღონდ სულ ტყუილად იქაფებსო, ამბობდა. მისი აზრით, თავუნას სისხლიან რევოლუციაში ჩაბმა კი არა, ბუზის მოკვლაც არ შეეძლო, რასაც, სხვათა შორის, სულ არ ნაღვლობდა, რადგან არც მას უნდოდა, ვაჟიშვილს რამე შარში გაეყო თავი.

იოსი და მისი ჯგუფი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ მიეკუთვნებოდა, რაც თავისთავად გასაკვირიც არ ჩანდა იმის გათვალისწინებით, რა მიყრუებულ სოფელშიც ცხოვრობდნენ. ეს ამბავი მართლაც იოლად ასახსნელი იყო, თუმცა თან მრავალი თვალსაზრისით – გულსატკეპნიც. იოსის ძალიან უნდოდა, როგორმე კომუნისტებს დაკავშირებოდა; უნდოდა, საკუთარი ჯგუფი ამ პარტიის ქმედითუნარიან უჯრედად გადაექცია და თავფეხიანად გადაშვებულყო იმ რევოლუციის საქმეში, რომელსაც, მისი ღრმა რწმენით, სადაც იყო, უნდა ეფეთქა. შთაგონების წყაროდ კი ტროცკი ესახებოდა.

იოსიმ ყველაფერი იცოდა ტროცკის შესახებ. იცოდა, რომ მისი ნამდვილი სახელი ლევ დავიდოვიჩ ბრონშტეინი იყო; განათლება ოდესაში, ანუ იქვე, შორიასლოს მიეღო; იმხანად უკვე ლენინის მარჯვენა ხელად მიიჩნეოდა; წერდა წიგნებს და სტატიებს. იოსის ტროცკი არასოდეს ენახა, რადგან ეს უკანასკნელი უკვე მრავალი წელია, ემიგრაციაში იმყოფებოდა, მაგრამ მასთან შეხვედრაზე განუწყვეტილვ ოცნებობდა. ეგ კი არა, სულ იმას ფიქრობდა, როგორ გახდებოდა ამ დიდი ბელადის თანამებრძოლი. მის ოცნებებს თავუნაც იზიარებდა. დიას, მასაც უნდოდა, კომუნისტი გამხდარიყო, მასაც სურდა, ტროცკის მხარდამხარ ებრძოლა იმ გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც „ინტერნაციონალში“, კომუნისტების ამ ჰიმნში იხსენიებოდა (მათ მხოლოდ ჰიმნის სიტყვები იცოდნენ

და რამდენადაც ნამღერი არასოდეს მოესმინათ, მელოდიასაც თავინათებურად წარმოდგენილს უსადაგებდნენ ხოლმე) – ბრძოლაში, რომელსაც კაცობრიობის ბედი უნდა გადაეწყვიტა. მაშინ ტროცკი ლამის უკვე ცოცხალ ლეგენდად იყო ქცეული, თვით მიყრუებულ ჩერნოვიცკი კი. ყველამ იცოდა, რომ ის რევოლუციას ედგა სათავეში და ხელისუფლების დამხობას ისახავდა მიზნად. ოლონდ, თუკი ზოგს ეს შიშის ზარს სცემდა, სხვებისთვის მიმზიდველადაც კი ჩანდა (თუ ამ რევოლუციის ამბავმა გაამართლა, ტროცკი ძალიან გამდიდრდება). მაგრამ თავუნას ფული და სიმდიდრე საერთოდ არ აღელვებდა, მისთვის მთავარი სრული და საყოველთაო რევოლუცია გახლდათ, სამყაროს ძირფესვიანად შეცვლა; ხოლო ამ საქმეში უთუოდ მონიანვეთა რიგებში უნდა მდგარიყო თვითონაც. ნაოცნებარს იოსის უზიარებდა ხოლმე, ის კი რატომღაც საეჭვო თავშეკავებით ისმენდა მეგობრის წრფელ აზრებს. ხანდახან ეტყოდა, არა მგონია, ჯერ საამისოდ ბოლომდე მომწიფებული იყოო. მომწიფებული? ნეტავ რას გულისხმობდა იოსი? თავად თავუნას მიაჩნდა, რომ რევოლუციურ საქმიანობაში ჩასაბმელად არც ასაკი უშლიდა ხელს და არც რამე სხვა. მართლაც, სადაც იყო, მეფის ჯარში განწვევის დროც მოუვიდოდა, რისი წარმოდგენაც კი ზარავდა. ერჩია, მომკვდარიყო, ვიდრე მჩაგვრელთა ხელში ბრმა იარაღად ქცეულიყო. სწორედ ამის ახსნას ცდილობდა იოსისთვის, ის კი ეუბნებოდა: სიტყვები, სიტყვები, ლაპარაკით არაფერი გამოვა, უნდა იმოქმედო, ამხანაგოო.

- როგორ ვიმოქმედო? – ეკითხებოდა თავუნა.
- გამოჩნდება, – ფიქრინადა პასუხობდა იოსი.

მერე, ერთ დღესაც, იოსი სადღაც გაქრა. უბრალოდ აორთქლდა, ისე, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს. მისი მშობლები დაფეთდნენ. სოფელმაც არ იცოდა, რა ეფიქრა. შიშობდნენ, ვაითუ ყაჩაღებმა მოიტაცეს და მოკლეს კიდევ, მით უმეტეს, რომ მსგავსი რამ ხშირად ხდებოდა იმ არეულ დროში. რაც შეეხება თავუნას, დარწმუნებული იყო, იოსის საიდუმლოებით მოცული გაუჩინარება უთუოდ რევოლუციასთან იქნება დაკავშირებულიო.

მართალიც აღმოჩნდა. იოსი ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა. მშობლებს თვალში ნაცარი შეაყარა, ვითომ ვიღაც მეგობრებს დაეპატივებინათ სხვა სოფელში, მაგრამ როცა თავუნა ჩააცივდა და აღარ მოეშვა, სიმართლე მითხარიო, იმანაც ვედარ მოითმინა, თვალბაეღვარებულმა და მღელვარებისგან ხმაათროღებულმა აღიარა, ტროცკისთან ვიყავიო!

თავიდან თავუნა სახტად დარჩა, მერე გაოგნება ეჭვიანობამ – ყოვლისმომცველმა, უსაზღვრო ეჭვიანობამ შეცვალა, რამაც ბოლოს ისე დაადარდინა, ყველაფერი სახეზე დაენერა. გულნატკენი უსმენდა მეგობრის ნამბობს, მის მართლაც გასაოცარ ოდისეას. იოსის ყველაფერი თვითონ დაეგეგმა, ისე, რომ კრინტიც არავისთან დაედრა. ტროცკის სანახავად პარიზში გამგზავრებულიყო, სწორედ პარიზში, სინათლის ქალაქში – იქ, სადაც 1789 წლის რევოლუცია მომხდარიყო და სხვა უამრავი დიადი ბრძოლაც გამართულიყო. მოკლედ, პირდაპირ ევროპის ინტელექტუალური ცხოვრების გულისგულისკენ აეღო გეზი. ქვეყნიდან დევნილი და არაერთი სახელმწიფოს საიდუმლო სამსახურის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ტროცკიც სწორედ იქ გამგზავრებულიყო პარტიულ ამხანაგებთან შესახვედრად. ეს რომ შეიტყო, იოსი დაუყოვნებლივ ოდესაში ჩავიდა, იქ მოგონილი გვარ-სახელით როგორღაც ააღწია მარსელისაკენ მიმავალ გემზე და მარსელიდან უკვე მატარებლით გააგრძელა გზა პარიზამდე. ბოლოს, ვიღაც ნათესავის დახმარებით, როგორღაც მოახერხა ტროცკის მოძებნა, რომელმაც ის თავის დროებით სამყოფელში მიიღო – პარიზის გარეუბანში მდებარე პატარა სახლში. გრძნობამორეულმა იოსიმ დაუფარავად გაუზიარა მეგობარს, რა შთაბეჭდილებაც მოეხდინა მასზე ტროცკის: ტანმორჩილი, ხმელ-ხმელი კაცი ყოფილა, ფაფარივით თმა ჰქონია, მოკლედ შეკრეჭილი, წამახული წვერი და სულში ჩამწვდომი მზერა...

– მკითხა, რა გინდაო? მეც პირდაპირ ვუთხარი, ამხანაგო ტროცკი, მე თქვენ გეთაყვანებით, თქვენი დაწერილი ყველაფერი წაკითხული მაქვს, მინდა, კომუნისტი გავხდე და თქვენ მხარდამხარ ვიბრძოლო-მეთქი.

– იმან რაო?

– თავიდან ჩუმიად მისმენდა. რამდენიმე წუთი ხმა არ ამოუღია, კრინტიც არ დაუძრავს. მერე უცებ ძალიან უცნაური რამე მითხრა, მკითხა, რაბინი რატომ არ გახდომ? ვისაც კითხვა უყვარს და გული სწავლა-განათლებისკენ მიუწევს, ეგ იმათთვის ყველაზე შესაფერისი საქმეაო.

– რაო? – მთლად დაიბნა თავუნა. რანაირად შეიძლებოდა, დიდ რევოლუციონერს იოსისთვის რაბინობა ერჩია?

იოსიმ შემწყნარებლურად ჩაილიმა.

– სინამდვილეში მცდიდა, ამონებდა, რამდენად მზად ვარ, ერთგულად ვემსახურო რევოლუციის საქმეს. მეც თავი არ შევირცხვინე: ვუთხარი, რელიგია მასების ბანგია, მე კი მთელი გულით მინდა, ადამიანთა გათავისუფლების საქმეს ვემსახურო, სოციალისტურ რევოლუციას, რომელსაც თქვენ და ლენინი ამზადებთ-მეთქი. პასუხით ნასიამოვნები დარჩა, მაგრამ მითხრა, ლაპარაკი საკმარისი არ არის, რევოლუციურმა საქმეებმა უნდა გამოაჩინოს, რისი შემძლეც ხარო. მეც ეგ მინდა-მეთქი, ვუთხარი, რამე დამავალეთ, ამხანაგო ტროცკი, და სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, დავალებას პირნათლად შევასრულებ-მეთქი!

იოსი ცოტა ხნით დადუმდა, მერე თავუნასკენ მიაბრუნა სახე. თვალზე ცრემლი უბრწყინავდა.

– მომცა კიდევ დავალება, ბენიამინ. საგანგებო დავალება – პირადად ტროცკიმ! ოლონდ შორს მომიწევს წასვლა – პრალაში. თუ ყველაფერი კარგად დამთავრდება, პარტიაში მიმიღებენ. პირობა მომცა. ეგ კი არა, შეიძლება რამე საპასუხისმგებლო თანამდებობაზეც დამნიშნონ.

იოსის უფლება არ ჰქონდა, ეთქვა, რას გულისხმობდა ეს დავალება. თავუნამ ხან აქედან მოუარა, ხან იქიდან, მაგრამ სხვა ველარაფერი დააცდენინა.

– საიდუმლო დავალებაა, – ერთსა და იმავეს უმეორებდა იოსი, – მეტს ველარაფერს ვიტყვი. თქვენც კი ვერ გაგიმხელთ, ამხანაგებს.

ცოტა ხნის მერე, თითქოსდა თავუნას დასამშვიდებლად თუ შემოსარიგებლად, დაამატა:

– იცოდე, დავალება თუ შევასრულე, ამით ყველა ვიხიერებთ. არ გეგონოს, ჩვენი ჯგუფი დავივინყე, ბენიამინ. პირველ რიგში, ვაპირებ, პარტიული უჯრედი შევქმნა აქ ჩვენთან, ჩერნოვიცკში. უკვე სახელიც მოვიფიქრე: ლევ ტროცკის სახელობის უჯრედი.

მაგრამ ლევ ტროცკის სახელობის უჯრედს დაფუძნება არ ენერა. ამ საუბრიდან ორი დღის შემდეგ იოსი ავად გახდა. მართლა ვერ იყო კარგ დღეში: მალალი სიცხე ჰქონდა, ალებინებდა, დროდადრო ბოდავდა კიდეც. სასონარკვეთილმა მშობლებმა აღარ იცოდნენ, რა წყალში ჩაცვენილიყვნენ, მთელი დანაზოგი დაახარჯეს ოდესიდან ექიმის გამოძახებას, მაგრამ ესეც ამაო გამოდგა. ექიმმა დიაგნოზის დასმაც კი ვერ მოახერხა – მხოლოდ ის დაადასტურა, კარგის იმედი ნაკლებად უნდა გექონდესო. მოკლედ, მთლად გადაუწურა იმედი ოჯახს. იმავე საღამოს იოსიმ ითხოვა, მასთან თავუნა მიეყვანათ. როცა ავადმყოფის ოთახში შევიდა, იმან დანარჩენებს ხელით ანიშნა, გადითო. მარტო დაგვტოვეთო, – ითხოვა კიდეც ჩურჩულით. გაკვირვებული და დამწუხრებული მშობლებიცა და ნათესავებიც მაშინვე გაიკრიფნენ. როცა კარი დაიხურა, იოსიმ ახლა თავუნას ანიშნა, მომიახლოვდიო. მერე მისი ხელის მტევანი ოფლით დაცვარულ ხელებში მოიმწყვდია, თვალი თვალში გაუყარა და ჩურჩულითვე უთხრა:

– რალაც უნდა გთხოვო, ამხანაგო ბენიამინ, რალაც ძალიან მნიშვნელოვანი.

– მითხარი, იოსი, – ხმა გაებზარა გრძნობამორეულ თავუნას, – შენ ოღონდ მთხოვე და ყველაფერს შევასრულებ, რალაც უნდა დამიჯდეს.

– დავალებაზე გეუბნები, – თქვა იოსიმ, – ტროცკის მოცემულ დავალებაზე. ჩემ მაგივრად შენ უნდა შეასრულო.

– ნუ სულელობ რალაცას, – თავუნა ცრემლს ძლივს იკავებდა, აპირებდა, ეთქვა, მალე კარგად გახდები, შენ თვითონვე შეასრულე, რაც ტროცკიმ დაგავალა და ყველაფერი რიგზე იქნებაო, მაგრამ იოსი მიუხვდა, სიტყვის გაგრძელება აღარ აცალა:

– არ გვინდა ეს ტყუილები. ვიცი, რა დღეშიც ვარ – ნასულია ჩემი საქმე... ახლა მისმინე. პრალაში მოგინევს ნასვლა. იქ რომ ჩახვალ, სასტუმრო „ტერმინუსში“ დაბინავდები. ოთახი ჩემს სახელზეა დაჯავშნილი. მერე ერთ კაცს მოძებნი... მოიცა, მანდ მაგიდაზე წიგნი დევს და აილე. შიგ ფულია, მატარებლის ბილეთები, საბუთები და მითითებები, რაც ამ მგზავრობისას უნდა შეასრულო. კიდევ კონვერტიც უნდა იყოს.

თაგუნამ მაგიდიდან წიგნი აიღო. რა თქმა უნდა, „კომუნისტური მანიფესტი“ აღმოჩნდა. მითითებებში წვრილად იყო ჩამოწერილი, როგორ და რა გზით უნდა ჩაეღნია პრალამდე. რაც შეეხება კონვერტს, ზედ ჯერჯერობით ლუქი ედო.

– ამ კონვერტში ნახავ იმ კაცის გვარ-სახელსა და ტელეფონის ნომერს, ვინც პრალაში უნდა მოძებნო, – გააგრძელა იოსიმ. – ნარმოდგენა არა მაქვს, ვინ არის, მისი გვარ-სახელი არასოდეს მსმენია. ერთი ეგ ვიცი, ჩვენსავით ებრაელია. მგონი, მწერალი უნდა იყოს... თუმცა მაგას მნიშვნელობა არა აქვს. პრალაში რომ ჩახვალ, დაურეკავ და ეტყვი, დაბეჭდილი ტექსტის წაღება დამავალესო. ეგ არის და ეგ. გაიგე? „დაბეჭდილი ტექსტის წაღება დამავალეს“. დათქმული სიტყვაა, არ დაგავინცდეს.

აქოშინებულმა იოსიმ სული მოითქვა და ისევ გააგრძელა:

– ის კაცი დაშიფრულ გზავნილს გადმოგცემს. შიფრის გასაღებიც ამ კონვერტშია. ზუსტად იმავე ზომის ფურცელი, რასაც პრალაში მოგცემენ, ოღონდ ეს ფურცელი ალაგ-ალაგ ამოჭრილია და ზედაც რალაც სიტყვები აწერია. როცა პრალაში მიღებულ ფურცელს დაადებ ზემოდან, ამოჭრილ ადგილებში გამოჩენილი სიტყვები უკვე ამ ფურცელზე დაწერილს გადაეხებება და შენი დავალების საბოლოო მიზანიც ამნაირად გაირკვევა. წესით, რალაც ადგილი უნდა იყოს, შეიძლება ბანკი, შეიძლება რამე სხვა დაწესებულება, ზუსტად არ ვიცი და ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. როცა დაშიფრულ გზავნილს ამოიკითხავ და დავალების მიზანსაც დაადგენ, დაგიკავშირდებიან და გეტყვიან, რაც უნდა გააკეთო უკვე დათქმულ ადგილას მისულმა. საშური საქმეა, დროულად მოსასწრე-

ბი, რადგან ტროცკი მალე საფრანგეთიდან მიემგზავრება. მგონი, ამერიკაში. ამიტომ აღარც შენ უნდა ითრიო ფეხი, ხვალ სალამოს მაინც უნდა გაუდგე გზას. გააკეთებ ამას, ამხანაგო ბენიამინ? ჩემ გამო, ჩვენი საერთო საქმის გამო...

რა თქმა უნდა, გავაკეთებ, შეგიძლია ჩემს იმედად იყო, ეუბნებოდა თავუნა იოსის და უკვე ცრემლსაც ველარ იკავებდა. მეგობრისგან გამოსული, სირბილით გაეშურა შინისაკენ.

– იოსი როგორ არის? – ჰკითხა მამამ.

თავუნას პასუხი არ გაუცია, თავის ოთახში შევარდა, კარი ჩაკეტა, სანოლზე პირქვე დაენარცხა და ხმამაღლა აზლუქუნდა. როდის-როდის, ძლივს დამშვიდდა, სანოლის კიდეზე ჩამოჯდა, წიგნი გადაშალა და შეეცადა, გონება მოეკრიბა. მართლა არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. ერთი მხრივ, ავადმყოფი მეგობრის მიტოვება ძალიან არ უნდოდა. მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობდა დავალება, რაზეც იგივე იოსი ელაპარაკა – ერთობ ბურუსით მოცული და იმდენად გაურკვეველი, თავისუფლად შეიძლებოდა ყველაფერი სიცხიანის ზმანებების ნაყოფიც ყოფილიყო. მაგრამ საბუთები, ბილეთები, ფული და კონვერტი – ეს ყველაფერი ამ ვარაუდს აქარწყლებდა, ამას უკვე ბოდვას ვერ მიანერდი. იოსის ნათქვამიდან გამომდინარე, დავალება იოლი არ ჩანდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, თავუნას ჩერნოვიცკიდან ფეხი არასოდეს გაედგა, ახლა კი ამოდენა მგზავრობა ელოდა წინ – უცხო ქვეყანაში, უცნობ ქალაქში, სადაც ყველაფერი უჩვეულო იქნებოდა მისთვის. ყველაზე ნაკლებად ენის ამბავი აფიქრებდა. გერმანულად შედარებით კარგად შეეძლო საუბარი, ყოველ შემთხვევაში, აზრის გაგებინება არ უნდა გასჭირვებოდა. ეს ენა მამამისის ერთმა მეგობარმა შეასწავლა (რაც მაინცდამაინც არ გასჭირვებია, რადგან ბოლო-ბოლო, იდიშიც გერმანულის კილო იყო). ოღონდ თავად მოგზაურობა, ეს ამოდენა გზა იოლ გასეირნებას ნამდვილად არ უქადდა: ხუმრობაა, მთელი ევროპა ომის ქარ-ცეცხლში იყო გახვეული; ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიას შესჯახებოდნენ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ბოჰე-